კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნათია კენჭოშვილი

სარჩელის უზრუნველყოფა (შედარებით სამართლებრივი კვლევა გერმანულ და ამერიკულ სამოქალაქო პროცესის მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი- გია ლილუაშვილი

თბილისი

2020 წელი

ანოტაცია

ნაშრომში მიმოხილულია სარჩელის უზრუნველყოფის ზოგადი თავისებურებები.ასევე, მნიშვნელოვანია თემაში არსებული თავებისა და პარაგრაფების შინაარსობრივი მხარე.

ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მუხლების ანალიზზე. გერმანიისა და ამერიკის სამართლებრივი კვლევა და შედარება საქართველოს კანონმდებლობასთან სრულყოფილს ხდის ნაშრომს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს ამომწურავად სარჩელის უზრუნველყოფის ცნებას, მის სახეებს და გასაჩივრების წესებს. ნაშრომში მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გაჯერებული აზრების სიმრავლე და მისულია ჭეშმარიტ აზრამდე . აღსანიშნავია პრაქტიკული მაგალითების მოყვანა, რადგან საკითხი მეტად გასაგები, მართებული და უდავო გახდეს.

მოცემულია, სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შეტანისას როგორ მოქმედებს სასამართლო, ვის აკისრია მტკიცების ტვირთი და რა უფლებებით სარგებლობენ ორივე მხარე. ასევე ნამსჯელია გარემოებებზე, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დასაბუთებული იყოს მოსარჩელის ვარაუდი, როგორ არის ეს საკითხი გადმოცემული თეორიით და რეალურად პრაქტიკა რა მაგალითებს გვაძლევს. ამავდროულად საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებულება სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი წესის მიმართ. ეს ყველაფერი გამოკვლეულია და მიმოხილულია ნაშრომში.

ნაშრომში ასახულია თუ რა პრობლემებს ვაწყდებით პრაქტიკაში და როგორ შეიძლება პრობლემების აღმოფხვრა. ესეთი მეთოდი გვეხმარება გავაანალიზოთ, თუ რატომ არსებობს სარჩელის ურუნველყოფა სამართალში და რისთვის ვიყენებთ მას .

Annotation

Natia kenchoshvili

The work reviews the general provision of the claim Peculiarities. Also here, important things are the chapters in the topic and the content of the paragraphs.

There is the focus is on Georgia's civil proceedings on the analysis of the articles established by the Code. Germany and America Legal research and comparison with Georgian legislation makes this work perfect. Civil Procedure in Georgian legislation regulates the notion of securing an exhaustive claim, its faces and the rules of appeal. The paper presents Georgia The abundance of thoughts saturated with legislation and has come true to the point of thought.

It is important to cite practical examples as well to become more understandable, valid and indisputable. It's given how to file a claim statement of how the court is in charge of who has the burden of proof and with what rights enjoy both sides.

There is also the discusses the circumstances of the case the plaintiff's assumption that this is the case may be substantiated what examples do the theory and practice give us. At the same time, the attitude of the Constitutional Court is interesting concerning certain rules for securing a claim. All of this Examined and reviewed in the paper.

My work presents what problems we face in practice and how Problems can be eliminated. Such a method helps us to analyze if why there is a lawsuit in law and why we use it.

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი 5

თავი I. სარჩელის უზრუნველყოფის ზოგადი მიმოხილვა..... 7

§1.1 სარჩელის უზრუნველყოფის ცნება და განცხადების შინაარსი..... 7

§ 1.2 ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება..... 12

§ 1.3 სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება და მისი აღსრულება 16

თავი II სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები 21

§ 2.1 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები 21

§2.2 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის შეცვლა მეორით..... 25

§2.3 იურიდიული პირის ანგარიშებზე ყადაღა..... 28

თავი III სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გასაჩივრება,საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები და ზარალის ანაზღაურების პროცედურები.. 31

§3.1 სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებების გასაჩივრება და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში 32

§3.2 საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები 35

§3.3 ზარალის ანაზღაურება სარჩელის უზრუნველყოფისას..... 37

თავი IV სარჩელის უზრუნველყოფა ამერიკისა და გერმანიის სამართლის მიხედვით..... 40

§ 4.1 სარჩელის უზრუნველყოფა გერმანიაში..... 40

§4.2 სარჩელის უზრუნველყოფა ამერიკაში..... 45

§ 4.3 საქართველოს, გერმანიისა და ამერიკის სარჩელის უზრუნველყოფის ანალიზი..... 50

დასკვნა 54

გამოყენებული ლიტერატურა 56

ნორმატიული მასალა:..... 57

სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სტატიები:..... 57

სასამართლო პრაქტიკა 57

უცხოური ლიტერატურა: 58

ინტერნეტ-მასალა:..... 58

შესავალი

სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება ითქვას სწრაფი მართლმსაჯულების პროცესია. ამ დროს მოსარჩელე განცხადებით მიმართავს სასამართლოს და განჩინების გამოტანა ხდება ზეპირი მოსმენის გარეშე. სარჩელის უზრუნველყოფა მოიცავს წინამდებარე ეტაპს გადაწყვეტილების გამოტანამდე . გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ არ იარსებებს არგუმენტები. თუმცა ეს სასამართლოზეა დამოკიდებული. სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება რამდენად ეყრდნობა კანონს, რის საფუძველზე გამოაქვს უარი ან თანხმობა.სარჩელის უზრუნველყოფის პროცესში ყურადღებას ვამახვილებ თუ როგორი სახით წარმოგვიდგება ეს პროცესი პრაქტიკაში.მნიშვნელოვანია ისიც , რომ სარჩელი უზრუნველყოფა არის სწრაფი მაგრამ, ამ დაჩქარებულმა პროცესმა არ უნდ გამოიწვიოს არასწორი განჩინების გამოტანა.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ჩამოყალიბება სასამართლო პრაქტიკაში, მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესების დაცვით ხდება . ამ ინსტიტუტის არსებობა გარანტიას აძლევს მხარეს დაიცვას მისი ინტერესები სასამართლო პროცესის დროს , არ აღმოჩნდეს მისი მოთხოვნა ამაო , არ გაყიდოს მოპასუხემ მისი ქონება, რომელზეც დაობს მოსარჩელე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსარჩელემ დაასაბუთოს მისი ვარაუდი რამდენად შეესაბამება რეალობას.

თემის აქტუალობის დასაბუთება- თემა აქტუალურია მისი დასახელებიდან გამომდინარე, იმ კუთხით, რომ მოსარჩელეს არ ეკარგება აზრი მოითხოვოს მისი უფლება.აქტუალურობა გამოიხატება იმით რომ, სარჩელის შეტანას სასამართლოში არ დაეკარგოს აზრი, სარჩელის უზრუნველყოფის დაკამყოფილების შემთხვევაში პროცენტულობა მეტი გვაქვს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე სწრაფი და დაჩქარებული პროცესია, რომელიც მნიშვნელოვნად ამართლებს სასამართლო პრაქტიკაში. ეს სწრაფი მართლმსაჯულების განმტკიცებაა და ამავდროულად სარჩელის ურუნველყოფის ვადები მეტად უსვამს ხაზს,რომ ის დროში გახანგრძლივებული და ამაო არ არის სამართალწარმოებაში.

თემის აქტუალობა ვლინდება იმაშიც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებასთან მიმართებაში სასამართლოში არ არის ერთგვაროვანი პრაქტიკაც, მაგალითად, ზოგ შემთხვევაში საკმარისია განცხადება გააკეთოს მოსარჩელემ მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადებაზე, რომ მოსამართლე ადებს ყადაღას ე.წ. „დასაბუთებული ვარაუდის“ საფუძველზე, მაგალითად, მოსარჩელე, რომელმაც ასესხა 10000 ლარი მოპასუხეს, აცხადებს რომ მოპასუხეს ერთი ბინა აქვს და თუ მას გაყიდის ის თანხას ვეღარ დაიბრუნებს, ზოგ შემთხვევაში კი, რაც მიგვაჩნია რომ უფრო გამართლებულია და

შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, სასამართლო მოითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების დასაბუთებას-დამტკიცებას, როგორც ამას მოითხოვს სსკ-ის 102-ე მუხლი „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“[1] მაგალითად, მოსარჩელემ მოწმის, პუბლიკაციის ან სხვა მტკიცებულებით უნდა დაასაბუთოს, რომ მხარე აპირებს მის სახელზე რიცხული ერთადერთი ნივთის გაყიდვას და ამიტომ ითხოვს ყადაღის დადებას ამ ნივთზე.

საქართველოს პრაქტიკაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე საინტერესოდ მიმაჩნია ამ საკითხების შედარებით სამართლებრივი კვლევაც გერმანული და ამერიკული სამართლის მიხედვით.

თემის მიზანი და მეთოდი- თემის მიზანია ამომწურავი პასუხები გასცეს დასმულ პრობლემებსა და შეკითხვებს სარჩელის უზრუნველყოფასთან მიმართებაში. ნათლად დაინახოს მკითხველმა ჩვენი კვლევის შედეგი, რომელიც დაემყარება არა მხოლოდ ჩემს დასაბუთებას, არამედ აგრეთვე ზემოთ აღნიშნული წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობას და

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მიღების თარიღი 14/11/1997.კონსოლიდირებულია 21/05/2020

მათ ანალიზს, სასამართლო პრაქტიკას და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

ამდენად კვლევის მიზანია ქართული სასამართლო პრაქტიკის სწორად წარმართვისა და შესაძლო ხარვეზების აღმოფხვრისათვის წინადადებების, რეკომენდაციების წამოყენება.

ამ მიზნის მიღწევაში, კი ბუნებრივია მეხმარება ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ასევე რაც მნიშვნელოვანია, შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი.

სიახლე- რაც შეეხება, თემის ახალი კუთხით დანახვას, ნაშრომში ასახული იქნება მსჯელობა სხვადასხვა საკვლევ საკითხებზე და მცდელობა იმისა,რომ მივიდეთ ჭეშმარიტ აზრამდე. სიახლე გამომდინარეობს თემის აქტუალურობიდან და იმ პრობლემების დანახვიდან რომლებიც, არსებობს პრაქტიკაში და არ არის აღმოფხვრილი. ასე, რომ ახლებური კუთხით დანახვა თემისა მნიშვნელოვანი ნათქვამია სამართალწარმოებაში.

თავი I. სარჩელის უზრუნველყოფის ზოგადი მიმოხილვა

§1.1 სარჩელის უზრუნველყოფის ცნება და განცხადების შინაარსი

სარჩელის უზრუნველყოფა არის მოსარჩელის გარკვეული ქმედება განცხადების შეტანის ფორმით, რომ არ გართულდეს გადაწყვეტილების რეალურად

აღსრულება,ამისთვის მოპასუხის ქონებისა და ფულადი სახსრების განკარგვის შეზღუდვა ან აკრძალვა ხდება . განცხადებაში აუცილებელია მითითებული იყოს , ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლების მიუღებლობა გაართულებს გადაწყვეტილების აღსრულებას , მეორე- მითითებული უნდა იყოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების რომელი სახე სჭირდება განცმხადებელს და მესამე- იმის შესახებ მითითებას თუ რის მიმართ უნდა მოხდეს უზრუნველყოფა, ეს იქნება მოპასუხის ქონება თუ ფულადი სახსრები [2]. განცხადების შეტანის უფლება აქვს მოსარჩელეს, ასევე მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ განცხადების შეტანა, ასევე შეუძლია მოპასუხეს, იმ შემთხვევაში თუ მან შეიტანა შეგებებული სარჩელი. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს[3]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ,,განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება'' [4]. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში მოიაზრება ის მტკიცებულებები,რომლებიც ადასტურებს მოპასუხის საკუთრების უფლებას მის ქონებაზე და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თუ მოპასუხეს სხვა საკუთრება გააჩნია ამის დამადასტურებელი მტკიცებულებების წინასწარი სახეების განსაზღვრა არ ხდება და შეიძლება ნებისმიერი ქონების დამტკიცება გარკვეული მტკიცებულებებით, რომ ეს ქონება ეკუთვნის მოპასუხეს.

საკითხი საკვლევად წარმოგვიდგება, თუ სახეზე გვექნება ისეთი განცხადების დაკმაყოფილება, რომელიც არ შეიცავს დასაბუთებას. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთებული უნდა იყოს მოსარჩელის აზრი მტკიცებულებების წარმოდგენით. მაშინ როგორ შეიძლება სასამართლომ გამოიტანოს განჩინება განცხადების დაკმაყოფილების? მნიშვნელოვანია,ისიც რომ სასამართლოს ზოგჯერ პრაქტიკიდან

[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი,ვალერი ხრუსტალი.
[3] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[4] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.მიღების თარიღი 14/11/1997.კონსოლიდირებულია 21/05/2020

გამომდინარე გამოაქვს დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში თანხმობა.თუმცა მოსარჩელეს არ გააჩნია მტკიცებულება.

აქედან გამომდინარე, ხომ არ მოვდივართ წინააღმდეგობაში თეორიისა და პრაქტიკისა?თუ კანონი გვეუბნება ,,თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი,რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“[5] , მაშინ როგორ ხდება ეს პრაქტიკაში? პრაქტიკა ზოგჯერ ერთგვაროვანი არ არის და ხშირად ვაწყდებით ისეთ ფაქტებს, რომლებსაც რამდენიმე გადაჭრის გზა აქვს.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლბრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.[6]

ასევე, ყურადსაღებია ის მდგომარეობა რომ, მოსარჩელის განცხადების შემდგომ ვეყრდნობით სასამართლოს აზრს, თუ რას იზამს , როგორ მიიღებს განცხადებას, რომელსაც არ ახლავს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, ანდა არ არის სახელმწიფო ბაჟი გადახდილი. ამ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე. ეს ყველაფერი აღწერილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილში და გვამცნობს რომ თუ გამოვა განჩინება ხარვეზის შესახებ, განმცხადებელს ეძლევა ვადა აღმოფხვრას ეს ხარვეზი, წინააღდეგ შემთხვევაში განუხილველად დარჩება განჩინება. [7]

სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შეტანისას შესაძლებელია დადგინდეს ხარვეზი, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში სასამართოს გამოაქვს უარის განჩინება . ეს ორი მოქმედება

---

[5] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.მიღების თარიღი 14/11/1997.კონსლიდირებულია 21/05/2020

[6] უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა(შემაჯამებელი ოქმი)2013 წელი.თბილისი.გვ3

[7] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.მიღების თარიღი14/11/1997.კონსოლიდირებულია 21/05/2020

მსგავსია და ამავდროულად განსხვავებულიც. თუმცა მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზეც, რომ თუ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარი თქვა შესაძლებელია ამ განჩინების გასაჩივრება და ამავდროულად, ამ საჩივარზე სასამართლოს მხრიდან ხარვეზის დადგენა.

მოვიყვანოთ მაგალითი : სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე N2ბ/6144-15 მოსამართლეები-ნათია გუჯაბიძე და ნატალია ნაზღაიძე,საჩივრების ავტორი-ღია სააქციო საზოგადოება ,,ა'',წარმომადგენელი-მ.მ.,გასაჩივრებული განჩინება-თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის, საჩივარზე ხარვეზის დადგენის და სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის უარის თქმის შესახებ.[8]

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაეცნო საქმის მასალებს და გასაჩივრებული განჩინებების უცვლელად დატოვება დაასაბუთა შემდეგი გარემოებებით : სასამართლო განმარტავს, რომ დაცული უნდა იყოს ორივე მხარის, როგორც მოსარჩელის ასევე, მოპასუხის ინტერესები და ამავდროულად მთავარი პრინციპი უნდა იყოს შესრულებული, ესაა- აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. დაუშვებელია მოპასუხის უფლების შეზღუდვა ამ ღონისძიებებით და ასევე მნიშვნელოვანია განცხადების შინაარსში სწორი გარემოებების მითითება და დასაბუთება. [9]

პალატა მიიიჩნევს რომ არ არსებობს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინებაზე 2015 წლის 18 ნოემბრის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი რადგან ყადაღის დადება ფიზიკური პირის ანგარიშებზეა მოთხოვნილი. ყადაღის დადება ფიზიკური პირისთვის გაუმართლებელია, რადგან არსებობს არაუზრუნველყოფილი სამართალურთიერთობის რისკები . ხოლო, მეორე განჩინების საჩივრის

[8] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმის ნომერი-2ბ/6144-15.მოსამართლეები-ნათია გუჯაბიძე,ნატალია ნაზღაიძე.
[9] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმის ნომერი-2ბ/6144-15.მოსამართლეები-ნათია გუჯაბიძე,ნატალია ნაზღაიძე.

დაკმაყოფილება, კი იურიდიული პირის ანგარიშებზე ყადაღის დადებისას მისი კომპანიის სრულ პარალიზებას გამოიწვევს.[10]

თუ სამოქალაქო საპროცესო სამართლის 191-ე მუხლში გვიწერია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ამავდროულად გადაწყვეტილების აღსრულება მთვარი პრინციპია, რომელიც ზემოთ მოყვანილი განჩინებიდან გამომდინარე დავინახეთ , მაშინ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა დაკმაყოფილდეს. [11] განცხადება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას და ეს დასაბუთება ნაკლებადაა ამ განჩინებებში წარმოდგენილი, რომელსაც ადასტურებს თბილისის სააპელაციო სასამართლო. ასე რომ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებები ნაწილობრივ დაუსაბუთებელი და არათანმიმდევრულია ამიტომ დაადგინა საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარი თბილისის სააპელაციო სასამართლომ. ასე რომ, განცხადების შინაარს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ წარიმართება პროცესი.მაგალითად: განცხადება, რომ ,,მოპასუხეს ერთადერთი ნივთი აქვს და რომ გაყიდოს მე ვეღარ დავიკმაყოფილებ მოთხოვნას“ ეს მტკიცებულება არის თუ ვარაუდი? ეს ხომ ვარაუდია .აქედან გამომდინარე, როცა მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების დაკმაყოფილებისა, ხომ არ ხდება მოპასუხის შეურაცხყოფა და ,,თაღლითად“ დანახვა? რომელიც ცდილობს თავისი ქონება ვითომ „გაყიდოს“, რომ მერე განაცხადოს არაფერი მაქვს რომ მოსარჩელე დავაკმაყოფილოო. ამით ერთგვარად ხომ არ ვარღვევთ „უდანაშაულობის პრეზუფციას? რადგანაც მოპასუხეს მივიჩნევთ ისეთ პირად,რომელმაც „ეშმაკურად“ „თაღლითურად“ უნდა მოიქცეს?

თუ მოპასუხემ მოჩვენებითი გარიგების საფუძვლეზე დადო ხელშეკრულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის თანამად ,ბათილია გარიგება,

[10] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმის ნომერი-2ბ/6144-15.მოსამართლეები-ნათია გუჯაბიძე,ნატალია ნაზღაიძე.
[11] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი.

რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს[12]

ეს მაგალითი ნათელია იმისა, რომ განცხადების დაწერას ყურადღება უნდა მიაქციოს მოსარჩელემ და დაასაბუთოს თუ რომელი ღონისძიებები სჭირდება, რატომ, რა საფუძვლით , ვისი ქონების და რა ქონების დაყადაღება სურს და რის საფუძველზე ითხოვს ამას. ყურადღება უნდა მიაქციოს განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს თუ რა მტკიცებულებები აქვს წარმოდგენილი, რომ არ დაუხარვეზოს მოსამართლემ, წინააღდეგ შემთხვევაში თუ საქმე არ გვექნება სამართლიანობასთან და დასაბუთებასთან საჩივარზეც შესაძლებელია დააწესოს მოსამართლემ ხარვეზი, არ დაკმაყოფილოს საჩივარი და დატოვოს საქალაქო სასამართლოს განჩინება უცვლელი და მეტად გაამყაროს პირველი ინსტანციით გამოტანილი განჩინების უტყუარობა.

§ 1.2 ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება

სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება შესაძლებელია მხარემ შეიტანოს გადაუდებელ შემთხვევაში. გადაუდებელი შემთხვევა შესაძლოა მოიაზრებდეს იმას,რომ მოპასუხემ არ გაყიდოს, გაასხვისოს ან გააჩუქოს, თუნდაც გადამალოს ქონება. ასეთ გადაუდებელ შემთხვევებში მოსარჩელეს აქვს უფლება შეიტანოს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება, თუმცა ამომწურავად უნდა დაასაბუთოს, თუ ნამდვილად არის რისკი იმისა რომ მოპასუხემ ბოროტად გამოიყენოს მისი უფლება , რამდენად შესაძლებელია ამ განცხადების დასაბუთება მოსარჩელეების მხრიდან ეს მათზეა დამოკიდებული და ნამდვილად რეალურ საფრთხეს უნდა

[12] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.მუხლი 56.ნაწილი-1.

უქმნიდეს მათ, რომ სასამართლომ შეძლოს გადაწყვეტილების აღსრულება. ზოგჯერ არის პრაქტიკული მაგალითები იმისა, რომ მოსარჩელე ან მოპასუხე თავის უფლებას ბოროტად იყენებს . ამიტომ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველფოფის გადაუდებლობა. თუ მოსარჩელის განცხადება ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფისა დაუკმაყოფილდება ისეთი დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე,რომელიც პრაქტიკაშია ცნობილი. საკვლევია ისიც, თუ რა საფუძვლის არსებობისას მიიღო განცხადება სასამართლომ. დასაბუთებული ვარაუდი ნიშნავს კი მტკიცებულებას? თუ დასაბუთებულია მაშინ ვარაუდი რატომ ჰქვია, ან ვარაუდი შეიძლება იყოს დაუსაბუთებელიც? ესეთი მოვლენები პრაქტიკაში ხშირია და ამავდროულად ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შეტანისას წარმოგვიდგეს.იმ კუთხით, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა მოსარჩელემ ვერ დაამტკიცოს გარკვეული მტკიცებულებების საფუძველზე, მაგრამ სასამართლომ გამოიტანოს განჩინება განცხადების დაკმაყოფილებისა.

კანონი აწესებს ასევე გარკვეულ შეზღუდვას იმ კუთხით , რომ თუ მოსარჩელეს დაუკმაყოფილდება ასეთი სახის განცხადება , მან 10 დღის ვადაში უნდა შეიტანოს სარჩელი. ამ ათი დღის განმავლობაში მოპასუხეს ქონება დაყადაღებული იქნება და თუ არ აღმოჩნდა დასაბუთება მისი ქონების დაადაღებისა , ამ დროს მოპასუხის უფლებები ილახება და ამავდროულად ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფისას მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა მან დანიშნოს ვადა, რომლის განმავლობაში, თუ განმცხადებელი არ აღძრავს სარჩელს, გამოიტანოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.[13] ეს იმას ნიშნავს რომ განცხადებაში არსებული ღონისძიებები გაუქმდება და ასევე საქმე გვექნება ზიანის ანაზღაურებასთან, რომელც განმცხადებელმა მიაყენა მოპასუხეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლი შესაბამისობაშია 199-ე მუხლის მე-2 ნაწილთან, რადგან ზარალის ანაზღაურების შესახებ მასშია საუბარი.[14]

[13] სამოქალაქო საპროცესო სამართალის მეორე გამოცემა. ავტორი- თენგიზ ლილუაშვილი.
[14] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატრი.წიგნი პირველი. ავტორი-თენგიზ ლილუაშვილი,ვალერი ხრუსტალი.

მნიშვნელოვანია პრაქტიკული მაგალითის მოყვანა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით. განჩინების საქმის ნომერი N2453275-18 მოსამართლე- გიორგი გოგიჩაშვილი,განმცხადებელი-შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია,მოწინააღმდეგე მხარე-ა(ა) იპ ერთობა 2013,მოთხოვნა- სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება , თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით განცხადებით მომართა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ და მოითხოვა სარჩელისა და სასამართლოს გადაწყვეტილების სამომავლოდ, დაუბრკოლებლად აღსრულების და მოსალოდნელი მნშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, გადადოს ან შეაჩეროს ა(ა)იპ ერთობა 2013ის მიერ უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს დეკლარირებული გაფიცვის უფლების გამოყენება.[15]

სასამართლო გაეცნო განცმხადებლის მოთხოვნას, შეამოწმა თუ რამდენად დასაბუთებული იყო გარემოებები და მიაჩნია რომ განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს . სასამართლომ ასევე სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა თუ რომელი მუხლებით ხელმძღვანელობდა და განუმარტა ის პირობები თუ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში 10 დღის ვადაში თუ არ აღძრავს სარჩელს, მაშინ სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძვლზე გამოიტანს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შესახებ.[16]

აღსანიშნავია, ისიც რომ სასამართლო ვალდებულია მიუთითოს ზარალის ანაზღაურების პასუხიმსგებლობაზე, ვის აკისრია ანაზღაურების ტვირთი და მიუთითოს იმ უფლებაზე რომ შესაჩლებელია განჩინებაზე საჩივრის შეტანა.

---

[15]თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2453275-18.მოსამართლე-გიორგი გოგიჩაშვილი

[16]თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2453275-18.მოსამართლე-გიორგი გოგიჩაშვილი

სწორედ, ამ მაგალითით ნათელია რეალურად როგორ ხდება ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გამოტანა, რა წესებს უნდა იცავდეს განჩინების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლე , რამდენად მნიშვნელოვანია გადაუდებელი შემთხვევის დასაბუთება და სარჩელის შეტანა დაწესებულ ვადაში.

თუმცა, არსებობს იმის ვარაუდი, რომ მოსარჩელემ შესაძლოა დაამტკიცოს გადაუდებელი შემთხვევის არსებობა, მაგრამ ამავდროულად ეს 10 დღიანი ვადა გამოიყენოს ბოროტად. მისი უფლების ბოროტად გამოყენებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოპასუხის ქონებას, ან მის უფლებას. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია სასამართლომ გაიაზროს და ამიტომ აქცევს დასაბუთებას დიდ ყურადღებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი კანონმდებლობა იცავს ორივე მხარის ინტერესებს და ზუსტად საზღვრავს კავშირს ამ მოქმედების ბოლოს მივიდეს ჭეშმარიტებამდე და დაცული იყოს მოპასუხის უფლებაც. თუ ზიან მიადგება მას, ამას ჩვენი კანონმდებლობით მოითხოვს და გადაწყვეტილება სამართლიანად აღსრულდება.

საბოლოოდ, გავაკეთოთ დასკვნა , რომ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და გამართლებულია პრაქტიკულად, ორივე მხარის ინტერესების დაცვით. ის, რომ სასამართლო ყადაღას დაადებს მოპასუხის ქონებას ეს არ ნიშნავს იმას, სარჩელი დაკმაყოფილდება და არც ეს გამოირიცხება.

§ 1.3 სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება და მისი აღსრულება

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება ეს არის სასამართლოს მიერ გამოტანილი და მის მიერ დასაბუთებული რომელიც არის რამდენიმე სახის, ესენია : სარჩელის უზრუნველყოფის უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, ერთი სახის მეორეთი შეცვლის და სარჩელის უზრუნველყოფის დაკმაყოფილების განჩინებები.

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ ა)თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიებები გაატარა სასამართლომ , ბ) იმ ქონების დასახელებას, რომელთა მიმართაც გატარდა უზრუნველყოფა , გ) თითოეული ნივთის სრულ დასახელებას ,მის სახელწოდებას და ნიშნებს.[17]

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება უნდა შეიცავდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლში შემავალ რეკვიზიტებს, როგორებიცაა : ა)განჩინების მიღების დრო და ადგილი, ბ)განჩინების მიმღები სასამართლოს ზუსტი დასახელება, შემადგენლობა და სხდომის მდივანი , გ)მხარეები და დავის საგანი დ)საკითხი,

[17] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი.

რომელზედაც მიღებული უნდა იქნეს განჩინება ე)მოტივები ვ)სასამართლო დადგენილება და განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.[18] მნიშვნელოვანია ამ რეკვიზიტებიდან ყველას გამოყენება პირნათლად და ამავდროულად სასამართლომ უნდა მიუთითოს გამოყენებული ფაქტები და კანონები, რის საფუძველზეც მიიღო ეს განჩინება. აღსანიშნავია ისიც, რომ სავალდებულოა გასაჩივრების წესზე და ვადაზე მითითება განჩინებაში, რადგან არ არის ერთგვაროვანი მათი გამოყენება.

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებაში დასაბუთებული უნდა იყოს მოსამართლის უარი, გაუქმება, ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხი, ან დაკმაყოფილება. მნიშვნელოვანია სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების დაუყონებლივი აღსრულება, რომელიც განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლით.[19]

სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობს ორი მხარე: კრდიტორი და მოვალე. საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მიხედვით, სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობათა ორგანოები, რომელთა სასარგებლოდ ან/და ინტერესებისათვის მიღებულია ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილება, ხოლო მოვალე არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.[20]

სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის განჩინების სააღსრულებო ფურცლის გამოცემა,რომელიც გადაეცემა მხარეს სააღსრულებო ბიუროში წარსადგენად. სააღსრულებო ფურცელს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო გადასცემს

[18] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი.
[19] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.მიღების თარიღი 14/11/1997.კონსოლიდირებულია-21/05/2020
[20] სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის მე-15 პრიმა მუხლი.

კრედიტორს მისი კანონიერ ძალაში შესვლის დროს [21]შესაძლებელია ამ განჩინების გასაჩივრება, როცა ჩაჰბარდება მოწინააღმდეგე მხარეს.

საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ სასამართლო იძულებითი აღსრულების დროისათვის, მოპასუხეს გაჩუქებული ან გაყიდული აქვს მთელი თავისი ქონება, ამიტომ აღმასრულებელი იძულებულია შეადგინოს უქონლობის აქტი. სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 35-ე მუხლის ,,ბ“ პუნქტის თანახმად სააღსრულებო საბუთი უბრუნდება კრედიტორს.[22]

როგორ შეიძლება ამ საშიშროების აღმოფხვრა, როცა სადავო საგანს გაასხვისებს მოპასუხე. იმ შემთხვევაში თუ პროცესის მსვლელობისას გაასხვისა მოპასუხემ ნივთი, არ გატარებულა სარჩელის უზრუნველყოფა, მაშინ მნიშვნელოვანია მოხდეს მოპასუხის მიერ გაყიდული ნივთიდან ამოღებული თანხის დაყადაღება. ამის გარდა ასევე ჩნდება პრობლემის მოგვარების ახალი გზა, ანუ მოპასუხის მიერ დადებული ხელშეკრულება ნასყიდობის შესახებ გაბათილდეს მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე. ამის დამტკიცების ტვირთი კი დაევალება მოსარჩელეს.

აშკარაა, რომ კანონი უფლებას აძლევს მოპასუხეს თუ არ არის გატარებული უზრუნველყოფის ღონისძიებები, გაასხვისოს ნივთი , თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან იმოქმედოს ბოროტად, იცოდეს, რომ ერთი ბინის მეტი არ გააჩნია და ის გაყიდოს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მოსარჩელეს შეეძლოს გაყიდული ნივთიდან ამოღებული თანხის დაყადაღება ან ხელშკრულების გაბათილება.

განჩინება საჩივრდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. შესაძლებელია მოვიყვანოთ მაგალითი : თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება [23]

საქმე №2ბ/3012-13 , მოსამართლეები- თინათინ ეცადაშვილი და გოდერძი გიორგიშვილი, საჩივრის ავტორი _ შპს ,,ჯ.ა.“ , მოწინააღმდეგე მხარე _ შპს ,,ფ. რ. ჯ.“ გასაჩივრებული განჩინება _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

[21] სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[22] საქართველოს საპროცესო სამართლის მეორე გამოცემა.ავტორი-თენგიზ ლილუაშვილი.
[23] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/3012-13.მოსამართლეები-თინათინ ეცადაშვილი,გოდერძი გიორგიშვილი.

კოლეგიის 2013 წლის 20 მაისის განჩინება[24] სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, საჩივრის ავტორის მოთხოვნა _ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შპს ჯ. ა-ს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის საქალაქომ არ დააკმაყოფილა, გამოიტანა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. ეს განჩინება მოიცავდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს და განმცხადებელს სურდა დაეყადღებინა მოპასუხის საბანკო ანგარიშები. [25]

თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დაუკმაყოფილა განცხადება შემდეგ გარემოებათა გამო : ფიზიკური პირის და იურიდიული პირის საბანკო ანგარიშების ყადაღა განსხვავდება ერთმანეთისგან.[26] იურიდიული პირები წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტებს რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და შესაძლებელია მათი დაყადაღებისას საწარმოს პარალიზება გამოიწვიოს. ასევე, სასამართლოს ჰქონდა ის დასაბუთება, რომ განმცხადებელმა უნდა მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც გააძნელებს გადაწყვეტილების გამოტანას, მაგრამ უფრო მაღალი ხარისხით არის საჭირო ამის დასაბუთება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უარის თქმის შესახებ განჩინებას, რომელიც სწორედ ამ განჩინებითაა მოცემული და ამავდროულად აღსანიშნავია მეორე სახის განჩინება, რომელიც გამოიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლომ და ეს განჩინება ნაწილობრივ დააკმაყოფილა იმ საფუძველთა გათვალისწინებით, რომ განჩინება უნდა აკმაყოფილებდეს , როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე 285-ე მუხლის პირობებს კონკრეტულად აქ საუბარია მოტივებზე, რომელთა დაყრდნობით სასამართლო მივიდა ამ დასკვნამდე. სწორედ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქალაქო სასამართლოს უარის დასაბუთების არგუმენტები და ამავდროულად არ მიიღო საკმარისად მათი მტკიცებულებები ,რადგან ზოგადად იყო დამტკიცებული ესა თუ ის არგუმენტი და საჭიროებდა უფრო მეტად დაკონკრეტებას.

---

[24] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/3012-13.მოსამართლეები-თინათინ ეცადაშვილი,გოდერძი გიორგიშვილი.

[25] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/3012-13.მოსამართლეები-თინათინ ეცადაშვილი,გოდერძი გიორგიშვილი.

[26] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/3012-13.მოსამართლეები-თინათინ ეცადაშვილი,გოდერძი გიორგიშვილი.

ამისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენით გადაწყვიტოს და განიხილოს საჩივარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება. [27]

ამ მაგალითით სჩანს თუ რა სახის განჩინებები გამოიტანა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადების შეტანისას და ხაზს უსვამს განჩინების შინაარსის სწორად გადმოცემას. ზუსტად ეს რეკვიზიტებია საჭირო განჩინების გამოტანისას , რომ შემდგომში გადაწყვეტილება სამართლიანად აღსრულდეს.

[27] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/3012-13.მოსამართლეები-თინათინ ეცადაშვილი,გოდერძი გიორგიშვილი.

თავი II სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

§ 2.1 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლში.[28] მასში წარმოდგენილია კანონით განსაზღვრული ღონისძიებების სახეები ,თუმცა ეს ჩამონათვალი საკმარისი არ არის,რომელსაც თვით კანონიც ამტკიცებს. სარჩელის უზურველყოფის ღონისძიებების სახეებია : ა)ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც ეკუთვნის მოპასუხეს ან სხვა პირს ბ) მოპასუხისთვის რაიმე მოქმედების აკრძალვა გ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მისი ნივთი აღმასრულებელ სეკვესტრს დ)სხვა პირებისთვის აკრძალვა რაიმე მოქმედების ან ქონების გადაცემის , რომ მოპასუხეს არ გადასცენ ნივთი.ე) სადავო აქტის შეჩერება ვ) ქონების რეალიზაციის შეჩერება, ყადაღისგან ქონების განთავსუფლების შესახებ სარჩელი აღძვრისას.[29]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი

[28] იქვე
[29] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატრი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი.

დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად, რაც მას მიმზიდველს ხდის ნებისმიერი ბიზნესისათვის.[30]

სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფისთვის. პრაქტიკაში კი ყველაზე ხშირია ყადაღის დადების გამოყენება. ყადაღა შეიძლება დაედოს მოპასუხის ქონებას , ფასიან ქაღალდებს ან ფულად სახსრებს. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რას მოითხოვს მოსარჩელე , რის დაყადაღებას. ანუ მოსარჩელეს შეუძლია ქონებრივი და არაქონებრივი დავისას ყადაღის გამოყენება.[31]

მაგალითად: ,,მოსარჩელე, რომელმაც მოპასუხეს ასესხა 5000 ლარი, ითხოვს, რომ მოპასუხეს მხოლოდ ერთი ბინა აქვს და თუ ის გაყიდა, მაშინ მას თანხას ვეღარ გაუსტუმრებს“, აქედან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს ყადაღის დადებას მოპასუხის ქონებაზე. რამდენად გამართლებულია მოსარჩელის ვარაუდი, რომ მოპასუხის ქონებას დაედოს ყადაღა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება , როგორიცაა ხშირ შემთხვევაში ყადაღის დადება, საჭიროებს დასაბუთებას. ყადაღის დადებისას მოპასუხეს არ აქვს უფლება გაასხვისოს , გააჩუქოს ან სხვ პირს გადასცეს სამართავად მისი ქონება . ამიტომ ამ ღონისძიების გამოყენება პრაქტიკაში არც ისე მარტივია თუ არ დასაბუთდა.

ყადაღის დაწესება წარმოადგენს კანონმდებლის ჩარევას ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში და ასეთი ჩარევის გამართლება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.[32]

ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის ნებისმიერი ფორმით აკრძალვის გამოცხადებას.[33]

---

[30] ნ.ცატუროვა, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, I სპეციალური გამოშვება; 2012წ.

[31] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატრი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი.

[32] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე #ას-1188-1117-2011; 29.07.2011წ

[33] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 63^1 -ე მუხლი

რაც შეეხება, რაიმე მოქმედების აკრძალვა , კანონში კონკრეტულად არ არის გადმოცემული, ეს შეიძლება იყოს მოპასუხისთვის მოქმედების აკრძალვა ან რაიმე სამუშაოს შესრულება/გაგრძელება. ამ ღონისძიების გამოყენება ხშირ შემთხვევაში , დამოკიდებულია საჩივრის ხასიათზე.

უსაფრთხოების ზომების გამოყენება აუცილებელია,როგორიცაა: დაყადაღება და კავშირშია სამოქალაქო საპროცესო მოქმედებების შენელებასთან [34]

თუ მოპასუხის ქონება იმყოფება სხვა პირთან ამ შემთხვევაში ამ პირს აეკრძალება ამ ქონების გადაცემა მოპაუხისათვის. მაგალითად : თუ მოსარჩელე ითხოვს მოპასუხის ქონებაზე მისი უფლების აკრძალვას და ეს ქონება იმყოფება სხვა პირის ხელში, მას შეუძლია მოითხოვოს ისიც , რომ არ გადაეცეს მოპასუხეს მისი ქონება, რათა არ გაყიდოს ან გაასხვისოს და ა.შ

მოცემული ღონისძიება გამოიყენება ასევე არაქონებრივი სარჩელების უზრუნველსაყოფად. ასე, მაგალითად, ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების, ასევე ფიზიკური პირის და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეებზე სასამართლოს უფლება აქვს საქმის გადაწყვეტამდე მოპასუხეს სპექტაკლის დადგმა ან მასალების პუბლიკაცია აუკრძალოს.[35]

მესამე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახე არის : მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელ სეკვესტრს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ სასამართლოს შეუძლია მოპასუხეს ჩამოართვას მის მფლობელობაში არსებული ნივთი და განახორციელოს იძულებითი მართვა, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე.სასამართლო აღმასრულებელ სეკვესტრს გადასცემს ნივთს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ამ ქონების გადაცემა იმ პირისათვის, რომელიც სასამართლომ დანიშნა მმართველად.[36]

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საკამრისი არ არის და სასამართლოს შეუძლია დააწესოს სხვა ღონისძიებების

---

[34] Peter Westberg, Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian studies in law p.538

[35] შ.ქურდაძე, "საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში", ჟურნალი სამართალი, 2010 წ.

[36] თ.ლილუაშვილი; ხრუსტალი - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა; თბილისი: სამართალი 2007; გვ 352

გამოყენება ან რამდენიმე გამოიყენოს ერთად. ეს უფლება მეტად მნიშვნელოვანია პრაქტიკისთვის რადგან, ზოგჯერ რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს და ერთი ღონისძიების გამოყენება საკამრისი არ არის. ამით ხაზს ვუსვამთ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე , მოსამართლის შინაგანი რწმენისა და დიდი გამოცდილების ბედზე შეიძლება გადაწყდეს განცხადების დაშვებისა და არ დაშვების საკითხი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების რომელი სახის გამოყენებისა და გაუქმების პროცესი.

§2.2 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის შეცვლა მეორით

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის შეცვლა მეორით განცხადების შეტანა შეუძლია, როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს. სასამართლო იღებს განცხადებას და აკმაყოფილებს ან უარს ამბობს ზეპირი მოსმენის გარეშე.მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ზეპირი მოსმენა თუ გასარკვევია გარემოებები და უნდათ იმსჯელონ თუ რატომ სურთ და რისთვის ღონისძიების შეცვლა. ამ განცხადების შეტანა მხარეებს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ. თუმცა აღსანიშნავია საკვლევად ერთი გარემოება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის განცხადებას ექნება თუ არა დროში გაჭიანურების შესაძლებლობა. შეიძლება ეს მხარემ გამოიყენოს იმისთვის, რომ გააჭიანუროს პროცესი ? თუ ამ კუთხით მხარეს სურს ამ განცხადების შეტანა ამ დროს მეორე მხარის უფლებები ირღვევა, რაც პრაქტიკაში ზოგჯერ ხდება და ამის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია დაუწესოს მხარეს ზარალის ანაზღაურება.

ორივე მხარეს შეუძლია შეიტანოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის განცხადება და მაგალითად მოსარჩელემ მოითხოვოს ყადაღის შეცვლა იმით , რომ მოპასუხეს არ ჰქონდეს ბინის გაქირავების უფლება , ანუ აუკრძალოს მოქმედებები.

მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც ნათლად დაგვანახებს ამ საკითხთან დაკავშირებით როგორ გადაწყვეტს განცხადების ბედს სასამართლო, რა გარემოებების დაყრდნობით და რის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

მაგალითად: თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. [37]

საქმის ნომერი N2ბ/5087-14

მოსამართლეები-ნატალია ნაზღაიძე,ნათია გუჯაბიძე

საჩივრის ავტორი-ი/მა.ზ.

[37] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი- 2ბ-5087-14.მოსამართლეები-ნატალია ნაზღაიძე, ნათია გუჯაბიძე

გასაჩივრებული განჩინება-თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივნისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლაზე უარის თქმის შესახებ.[38]

საჩივრის ავტორის მოთხოვნა-გასაჩივრებული განჩინების გაუქმება,სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ გაეცნო საქმის მასალებს , წარმოდგენილ საჩივარს და დაასაბუთა შემდეგი გარემოებებით, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო სასამართლოს აზრით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შევლაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილი განჩინება არ უნდა შეიცვალოს და დარჩეს უცვლელი,შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა და მოპასუხის ინტერესებს შორის. აქედან გამომდინარე, სასამართლო არჩევს იმ ღონისძიებებს , რომელითაც, დაცული იქნება ორივე მხარის ინტერესები. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების შეზღუდვა და მხარეთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება.ასე, რომ გადაწყვეტილება რომ აღსრულდეს აუცილებელია მხარის მიერ დასაბუთება ან უნდა არსებობდეს სასამართლოს დასარწმუნებლად ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებებზე მითითება, რომლზეც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა თანხის დაკისრებაა.ამგვარი სასარჩელო მოთხოვნის არსებობის პირობებში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გადაწყვეტილების აღსრულების უზურნველყოფას ემსახურება. თუმცა, ამასთან სასამართლო მიიჩნევს, რომ განმარტოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა თხოვნით

[38] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი- 2ბ-5087-14.მოსამართლეები- ნატალია ნაზღაიძე, ნათია გუჯაბიძე

დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით, შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე.

განსახილველ შემთხვევაში, ი/მ ა ზ-მ. სასამართლოს წინაშე, რომ დაყადაღებული მოძრავი ქონების ნაცვლად, ყადაღა დადებოდა მის ფულად ანგარიშებს თიბისი ბანკში, თუმცა მოპასუხეს მითითებულ ბანკში სადავოდ გამხდარი თანხების ოდენობით ფულის დარიცხვა დამტკიცებული არ იყო. ვერც საჩივარშიც დაამტკიცა ამის შესახებ.ასე, რომ მოპასუხეს სურდა შეეცვალა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მეორით მაგრამ მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა,რადგნა არ იყო დასაბუთებული მისი მოთხოვნა მტკიცებულებებით, და არც მაღალი ხარისხით არ მოასწავებდა სასამართლოს დარწმუნება მისი განცხადება.[39]

აქედან გამომდინარე, საკვლევია ის გარემოებები, ხომ არ სცდილობდა მოპასუხე ვალდებულებების თავიდან აცილებას? ან ნივთის გაყიდვას, როცა ყადაღა მოეხსნებოდა? თუ სასამართლო დააკმაყოფილებდა მოპასუხის საჩივარს, მაშინ როგორ შეიძლებოდა მოსარჩელის დაკმაყოფილება, მოპასუხეს რომ არ შეეტანა ანგარიშზე თანხა. ეს გაითვალისწინა სასამართლომ, ამიტომ გამოიტანა ეს გადაწყვეტილება, თუმდა შესაძლოა მოპასუხეს დაემტკიცებინა ანგარიშზე თანხის დარიცხვისა და ქონის ალბათობა მაღალი ხარისხით, ეს კი სასამართლოს მიეღო უტუარად , მაგრამ პრაქტიკულად კი მოპასუხე მოქცეულიყო ,,თაღლითად“ . რა შემთხვევები არსებობს და რით შეგვიძლია დავეხმაროთ დაზარალებულ მხარეს. კონსტიტუციის თანახმადაც, ხომ ორივე მხარე თანაბარ უფლებებში უდა იყოს. ამ დროს ხომ არ შეიძლება მოპასუხეს მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გავაბათილოთ , საუბარია როცა მოპასუხეს საჩივარი დაკმაყოფილებულიყო და გაეყიდა ქონება.ნასყიდობის ხელშეკრულებას, რის საფუძველზე გავაბათილებთ ? თუნდაც რომ მოჩვენებითი გარიგების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლში. ან შესაძლოა გაყიდული ქონებით მიღებული თანხის დაყადაღებით , აღმოიფხვრებოდა პრობლემა.

[39] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი- 2ბ-5087-14.მოსამართლეები- ნატალია ნაზღაიძე, ნათია გუჯაბიძე

ეს პრაქტიკის საკითხია და ასე შეიძლება გაჩნდეს რამდენიმე პრობლემა ერთად, ან რამდენიე პრობლემის მოგვარების გზები. პირადად, სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას ვეთანხმები, თუმცა არსებობს სხვა გზებიც რომლის გამოყენებითაც მივალთ იმ ჭეშმარიტ დასკვნამდე და კონსტიტუციით დამტკიცებულ აზრამდე , რომ ორივე მხარეს უფლებები დაცული უნდა იყოს და თანაბრად შეეძლოთ მონაწილეობა საპროცესო მოქმედებებში.

§2.3 იურიდიული პირის ანგარიშებზე ყადაღა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება.ის

წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას. სარჩელის უზრუნველყოფა ეს არის დროებითი ღონისძიების სახე, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება ან მისი აღუსრულებლობა.[40]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება მნიშვნელოვნად არის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა, თუმცა ამას კანონმდებელი არეგულირებს თანაზომიერების პრინციპის დაცვით. საკუთრების უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით ხომ გაუმართლებელია. ამავდროულად კონსტიტუცია გვეუბნება, რომ თითოეული მხარის ინტერესები თანაბარი უნდა იყოს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე თანაბარზომიერების პრინციპის მიხედვით.ასე, რომ ყველაზე გავრცელებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორიცაა ყადაღის დადება, მას მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობა ახასიათებს. კერძოდ , ყადაღის დადება საბანკო ანგარიშებზე იურიდიული და ფიზიკური პირისთვის ერთმანეთისგან განსხვავდება.ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირები წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა სახის სამეწარმეო საქმიანობას, მათ დადებული აქვთ კონტრაჰენტებთან ხელშეკრულებები და ანგარიშსორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორებით. მათ გააჩნიათ ვალდებულება სახემწიფოს წინაშე და საწარმოში დასაქმებულები არიან მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ ანაზღაურებას.[41]

სწორედ, რომ ფულად სახსრებზე ყადაღის დადება იურიდიული პირისთვის, ნიშნავს რომ ვერ გადაიხდის საწარმო გადასახადებს, მათ აეკრძალებათ ამ სახსრების განკარგვა ნებისმიერი ფორმით და აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი გამოიწვევს საწარმოს პარალიზებას.აღსანიშნავია, ისიც, რომ მეწარმე სუბიექტებს გააჩნიათ სხვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელთა დაყადაღებისას შესაძლებელია მოთხოვნის დაკმაყოფილება.ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებისასა, როგორიცაა, ყადაღის დადება, ამ დროს იურიდიული პირის მოძრავი ან უძრავი ქონება უნდა დაადაღდეს, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება იურიდიული პირის

[40] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი,ვალერის ხრუსტალი.
[41] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი,ვალერის ხრუსტალი.

საბანკო ანგარიშების დაყადაღება. თუ არ გააჩნია უძრავ-მოძრავი ქონება და ვერ აღსრულდება გადაწყვეტილება, მაშინ შესაძლებელია დაყადაღდეს იურიდიული პირის საბანკო ანგარიშები.

ყურადსაღებია, პრაქტიკის მაგალითი, როგორიცაა: სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი N2ბ/5560-15. მოსამართლეები- ხათუნა არევაძე,ვანო წიკლაური,საჩივრის ავტორი-შპს ,, ფ.ჯ",მოწინააღმდეგე მხარე- შპს ,,გ.ყ. XXXX",საჩივრის ავტორის მოთხოვნა- გასაჩივრებული განჩინების გაუქმება,თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით ყადაღა დაედო შპს ,,ფ.ჯ" სალაროებში არსებულ ფულად სახსრებს- 424220,75 ლარის ფარგლებში.[42]

განჩინება ეფუძნება შემდეგს: თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია დასაბუთებულად განმცხადებლის დასაბუთება, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით, რომ განცხადება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რომელი ღონისძიების გატარება მიჩნია მოსარჩელეს აუცილებლად, თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ ღონისძიების გაუტარებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.[43] აქედან გამომდინარე, რა არის სასამართლოსთვის დასაბუთებული ვარაუდი? თუ დასაბუთებულია, მაშინ ვარაუდი როგორ არის და თუ ვარაუდია , ვარაუდი როგორ უნდა დაასაბუთოს მხარე. რას მიიჩნევს სასამართლო პრაქტიაში დასაბუთებულ ვარაუდს? მოდი გავნიხილოთ, თუ რა განჩინება გამოიტანა საქალაქო სასამართლომ. გაგრძელება განჩინებისა არის ის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის, არის მასთან ან სხვა პირთან. ასე, რომ მოპასუხის კუთვნილი ფულადი სახსრები განიხილება გადახდევინების საშუალებად, ამიტომ სასამართლომ მიიჩნია ფულადი სახსრების დაყადაღება

[42] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმის ნომერი-2ბ/5560-15.მოსამართლეები-ხათუნა არევაძე, ვანო წიკლაური.
[43] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმის ნომერი-2ბ/5560-15.მოსამართლეები-ხათუნა არევაზე, ვანო წიკლაური.

აუცილებლად.ამ დასაბუთებული ვარაუდით განმარტა სასამართლომ, რომ დაეყადაღებინა იურიდიული პირის ფულადი სახსრები.

შემდგომ, ეს განჩინება გაასაჩივრა შპს,, ფ.ჯ „- წარმომადგენელმა,რომელიც ფიქრობდა, რომ განჩინება არ იყო სამართლიანი. თბილისის სააპელაციო სასამართლოც გაეცნო საქმის მასალებსდა განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობა ეს არის, მხარეთა უფლებების დაცვა და გარანტია იმისა, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა არის გონივრული ვარაუდი იმისა, რომ შესაძლოა გადაწყვეტილება არ აღსრულდეს. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მოოსაზრებას, რომ მისი კომპანია აზარალა ამ ყადაღის დადებამ, მოკლებულია დააბუთებას , იმ კუთხით, რომ მან არ წარმოუდგინა სასამართლოს სხვა მოძრავ-უძრავი ქონება, რომელიც შეიძლება დაყადაღებულიყო, ამიტომ როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ არ არსებობს მოპასუხის მოძრავ-უძრავი ქონება, უკიდურეს შემთხვევაში სასამართლო დააყააღებს იურიდიული პირის საბანკო ანგარიშებს. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს ასევე შეეძლო მოეთხოვა სარჩელის უზრუნვლყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, ან მოპასუხეს შეეძლო შეეტანა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხა. ამ ყველაფრის გაუთვალისწინებლობა და ის რომ საწარმო პარალიზდება, მოკლებულია სამართლებრივ მოტივაციას.

ასე, რომ სააპელაციო პალატა ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას და აუქმებს საჩივარს.

თავი III სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გასაჩივრება,საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები და ზარალის ანაზღაურების პროცედურები.

§3.1 სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებების გასაჩივრება და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარის მიერ. მხარე ასაჩივრებს განჩინებას, რადგან მასში წარმოდგენილი პირობები მისთვის მისაღები არ არის, შესაძლოა მას სურდეს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა ან სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმება. ამ შემთხვევაში, თუ ამ საფუძვლით გაასაჩივრებს მხარე განჩინებას, მნიშვნელოვანია როგორ ხდება განჩინების აღსრულება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლში მოცემულია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა ან გაუქმების დროს ავტომატურად შეეაჩერებს ან განჩინების აღსრულებას.[44] რაც შეეხება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლში წერია, რომ საჩივრის შეტანა შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას.[45] აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის ამ ორი მუხლის შინაარსი? თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება შეაჩერებს აღსრულებას , მაშინ სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებაში ხომ შედის სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლაც და გაუქმებაც.ესენიც ხომ სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებებია. ასე, რომ სამართალწარმოება მეტად გასარკვევ, ზოგად და მრავლისმომცველ აზრებს მოიცავს. ამიტომ იურისტი, რომელიც ბოლომდე არ გაეცნობა კანონს, შესაძლოა არასწორი გზისკენ წავიდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლი კი აკონკრეტებს იმ განჩინებების სახეებს, რომლის დროსაც ავტომატურად შეაჩერებს ამ განჩინებების აღსრულებას.[46]

---

[44] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მიღების თარიღი 14/11/1997.კონსოლიდირებულია-21/05/2020

[45] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მიღების თარიღი 14/11/1997.კონსოლიდირებულია-21/05/2020

[46] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მიღების თარიღი 14/11/1997.კონსოლიდირებულია-21/05/2020

რაც შეეხება , განჩინების გასაჩივრების ვადას, ის შეადგენს 5 დღეს და მისი დენა იწყება განჩინების მხარეთათვის ჩაბარების დღიდან. თუ გაჩინებების გამოცხადებას ესწრებოდა გასაჩივრების უფლების მქონე პირი, მაშინ დენა იწყება ამ განჩინების გამოცხადების დღიდან.

საჩივარი შეტანილი უნდა იყოს იმ სასამართლოში, რომელშიც საჩივრდება.განჩინების გამომტან სასამართლოს აქვს უფლება დააკამყოფილოს ის, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო დააკმაყოფილებს საჩივარს, მაშინ ის აღარ გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი განსახილველად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს. მაგალითად თუ საჩივარი შემოტანილია ვადის დარღვევით ან არ არის დასაბუთებული, მაშინ განჩინების გამომტან სასამართლოს შეუძლია მიუთითოს ამ გარემოებებზე და გადაუგზავნოს ზემდგომ სასამართლოს, თუ რის გამო არ დაკამყოფილა საჩივარი, მასში განხილული იქნება თუ რატომ არ დააკმაყოფილა, დაუსაბუთებლობის გამო თუ რა მიზეზების გამო. ამის შემდეგ ზემდგომი სასამართლო განიხილავს საჩივარს, მასში წარმოდგენილ დასაბუთებას, ყურადღებას მიაქცევს თუ რის საფუძველზე არ დაუკმაყოფილა ქვემდგომმა სასამართლომ საჩივარი. გაეცნობა საქმის მასალებს და გადაწყვეტს თავისი დამოუკიდებლობით თუ რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს“.[47] საჩივრის 20 დღიანი ვადა ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღების დღიდან უნდა დაიწყოს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს ორი სახის განჩინება, რომლის უფლებაც მაც აქვს. ესენია: პირველი- საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, რომელის დასაბუთებულია და მეორე- საჩივრის გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში განსახილველად. რაც შეეხება, შემდგომ სასამართლოს ბედზე დამოკიდებული საჩივარი დაკმაყოფილდება თუ არა. ამიტომ დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს საჩივრის განხილვას ზემდგომი სასამართლო. ამიტომ ზემდგომ სასამართლოს

[47] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მიღების თარიღი 14/11/1997.კონსოლიდირებულია- 21/05/2020

შეუძლია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით. ვფიქრობ, რომ თუ საჩივარი შეიცავს ორაზროვან დასაბუთებას, ან რისკს იმისა, რომ გადაწყვეტილება არ აღსრულდეს, უნდა ჩატარადეს ზეპირი მოსმენა, რათა სასამართლოსთვის ნათელი გახდეს გარემოებები და გადაწყვიტოს სამართლიანად საქმე.

მოვიყვანოთ მაგალითი: სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ,საქმის ნომერი- N 2ბ/2317-13 მოსამართლეები-ბესარიონ ტაბაღუა,თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი,თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება, საჩივრის ავტორის მოთხოვნაა გასაჩვრებული განჩინების გაუქმება.თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაეცნო საქმის მასალებს , რომლებიც გადმოუგზავნა საქალაქო სასამართლომ, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა და თვლის რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დასკვნებს იზიარებს, მხარეთაა თანაბრობის დაცვით, ამიტომ გამოყენებული იყო სასარჩელო მოთხოვნის ადეკვატური უზრუნველყოფის ღონისძიება.[48] სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დასაბუთება სამართლიანობას მოკლებულია და შესაძლოა გადაწყვეტილების აღსრულებას შეეშალოს ხელი, ამიტომ საჩივარს არ აკმაყოფილებს, რის გამოც განჩინება კანონიერია, და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძვლები.[49]

სწორედ, რომ ეს მაგალითი არის სახე იმისა, თუ როგორ შეუძლია მხარეს გაასაჩივროს განჩინება , მიიღოს განსახილველად ზემდგომმა სასამართლომ, გადააგზავნოს საქმის მასალები ქვემდგომმა სასამართლომ. ამ ყველაფერი სტადიების დაცვით ხდება განჩინების სამართლიანობის შენარჩუნება ან უტყუარი და კანონიერი განჩინების

[48] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/2317-13.მოსამართლეები-ბესარიონ ტაბაღუა,თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი.

[49] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/2317-13.მოსამართლეები-ბესარიონ ტაბაღუა,თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი.

გამოტანა. ამიტომ, თუ პირველმა ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა ისეთი განჩინება, რომელიც კანონიერად გამართლებული არ არის, მხარეებს აქვთ უფლება, გაასაჩივროს და მივიდნენ ჭეშმარიტებამდე.

§3.2 საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობები

არბიტრაჟის შესახებ კანონის თანახმად , არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით.[50]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია ამ პირობების დაცვა, როგორებიცაა:ა) შესაძლო ზიანი, რომელიც შეიძლება განიცადოს ერთ-ერთმა მხარემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობისას. ბ)ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი უნდა იყოს მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით. გ) სარჩელის უზრუნველყოფის

[50] არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-6 მუხლი

ღონისძიების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი უნდა აღემატებოდეს იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს,რომლის წინააღმდეგ მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. დ) საფუძვლიანი ვარაუდის არსებობა, იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება.[51]

აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ თუ რომელიმე მხარეს მიადგა ზიანი, გააჩნია მოსარჩელე იქნება თუ მოპასუხე. თუ მოსარჩელე მიმართავს განცხადებით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, მაშინ აუცილებელია იმ პირობების დაცვა, რომ არ გაძნელდეს გადაწყვეტილების აღსრულება. რაც შეეხება, თუ მოპასუხე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის მოსალოდნელი ზიანის არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა.[52]

აღსანიშნავია, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობა. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ არაფერს არ ამბობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ხანგრძლივობაზე, ბუნებრივია, რომ ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.[53]

მნიშვნელოვანია, რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, ისეთი ზომების განუხორციელებლობა, რომლებიც გაადვილებს ან შეუძლებელს გახდის სასამართლო აქტის შესრულებას, სასამართლო აქტის შესრულება სავარაუდოდ რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ ხდება.[54]

სარჩელის უზუნველყოფის ღონისძიებებს აქვს დროებითი ხასიათი, ამიტომ მისი შეცვლა, გაუქმება დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე.

---

[51] საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ავტორი-ნინო ცატურავა.2012 წელი.
[52] საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ავტორი-ნინო ცატურავა.2012 წელი.
[53] ხანგრძლივობის საკითხთან დაკავშირებით ზოგადად იხ. Yesilirmak, supra n. 8 at pp. 199-200.
[54] Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Штанкова Наталия Владимировна

§3.3 ზარალის ანაზღაურება სარჩელის უზრუნველყოფისას

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილებისთვის რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება.ის წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს.თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.[55] აქედან გამომდინარე, სარჩელის

[55] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმის ნომერი-2ბ/3607-13, მოსამართლეები-ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი.გვ6

უზრუნველყოფის გარანტია არეგულირებს მხარეთა ინტერესების დაცვა, მათ მიმართ გატარებული მოქმედებების კანონიერებას და თუ რომელიმე მხარეს მიადგა ზიანი, ამ ზიანის ანაღაურებასაც აკონტროლებს. იმ მაგალითიდან გამომდინარე, როცა მოპასუხეს აქვს მისაცემი მოსარჩელისთვის 5000 ლარი, ვერ/არ უბრუნებს,ამ შემთხვევაში, შესაძლოა თუ მოსარჩელე მოპასუხეს დაუყადაღებს მის ერთადერთ ნივთს მიადგეს ზიანი. ამიტომ, ამ ზიანის ანაზღაურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს და ამავდროულად, მოპასუხეს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. მოპასუხისთვის მიყენებულ ზიანს, კანონი აწესრიგებს და ეს პრობლემა აღმოფხვრადია, რაც შეეხება მოსარჩელის ინტერესებს, მოსარჩელე სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შეტანის გზით უკვე გარანტიას დებს , მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად. ანუ მოსარჩელე ამ განცხადებით ასაბუთებს თუ რა შეიძლება მოჰყვეს რომ არ მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დაკმაყოფილება. დასაბუთება უნდა გამომდინარეობდეს მტკიცებულებების არსებობის საფუძველზე და მნიშვნელოვანია, თუ რამდენად დარწმუნდება სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დააბუთებაში. სასამართლოს ესაჭიროება დააბუთებული განცხადება, როგორც სარჩელს მტკიცებულებების წარდგენა, რადგან შემდგომში არ მოხდეს მხარეებისთვის ზიანი მიყენება. ორივე მხარეს ინტერესები დაცული უნდა იყოს. სასამართლოსაც აქვს უფლება თავისი ინიციატივით მოითხოვოს მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურება, თუ ამას ხედავს.

ამასთან, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა უნდა გატარდეს ,,იმავდროულად“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებასთან ერთად.ეს იმას ნიშნავს, რომ განჩინებაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მითითებული უნდა იყოს აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მოქმედების შესრულება დაეკისრა მოსარჩელეს(მაგალითად ფულადი თანხის დადება და სხვა)მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.[56]

[56] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატრი.წიგნი პირველი.ავტორები-თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი.გვ354

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის დადგომის თავიდან აცილების კიდევ ერთი საპროცესო საშუალებას წარმოადგენს უზრუნველყოფის ერთი საგნის მეორით შეცვლა.სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.იმავე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე.[57]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომემაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.“მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ვადად განსაღრავს 7 დღეს, ხოლო ამ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას.მოსამართლე ვალდებულია საქმის ინდივიდუალური გარმოებების შესწავლის გარეშე, ყველა შემთხვევაში მხარეს გარანტიის წასრადგენად 7 დღიანი ვადა განუსაზღვროს.[58]

აქედან გამომდინარე, ამ ვადის დანიშვნა მხარესათვის, მნიშვნელოვანია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულებისათვის. ზიანის ანაზღაურების დროულად აღმოფხვრას მივყავართ მხარეთა ინტერესების დაცვისკენ და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებისკენ.

---

[57] საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფი შეხვედრა(შემაჯამებელი ოქმი)გვ6

[58] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე-2/6/746. შპს ,, ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

თავი IV სარჩელის უზრუნველყოფა ამერიკისა და გერმანიის სამართლის მიხედვით

§ 4.1 სარჩელის უზრუნველყოფა გერმანიაში

გერმანია, ოფიციალურად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა(Die Bundesrepublik Deutschland) ცენტრალურ ევროპაში. ლათინურად კი Germania მომდინარეობს Ger, Germni, Germanus-დან, რაც გალების კელტური ტომის ენაზე ,,მეზობელს“ ან ,,ძმას“ უნდა ნიშნავდეს. გერმანია ფედერაციული მმართველობის ორგანოა, სადაც მოქმედებს 1949 წელს მიღებული კონსტიტუცია.[59]

მნიშვნელოვანია, თუ როგორ აწესრიგებს სარჩელის უზრუნველყოფას გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გერმანიის სამოქალაქო საპროესო კოდექსი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შედგება მუხლებიდან, რომელიც იწყება 916-ე მუხლით და მთავრდება 945 მუხლის ჩათვლით.მოიცავს კოდექსის მე-5 თავს. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 916-ე მუხლის თანახმად, ყადაღის დადების მოთხოვნა ხდება იძულეთბითი აღსრულების საფუძველზე, რომელიც

[59] www.wikipedia.org

შეიძლება და გახდეს ფულადი მოთხოვნა.[60] აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გერმანიის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხარემ მოითხოვოს ყადაღის დადება ქონებაზე, ყადაღის დადება ქონებაზე და მისი განვითარება გულისხმობს, რომ გახდეს ფულადი მოთხოვნა.

ყადაღის დადება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესაძლებელია, თუ არსებობს, განჩინების აღსრულების შეშფოთება ან იმედგაცრუება, რომ შემდგომში შესაძლოა არ აღსრულდეს მხარის მოთხოვნა, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 917-ე მუხლი არეგულირებს ამ შესაძლებლობებს, და მხარეს შეუძლია თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ შესაძლოა არ აღსრულდეს გადაწყვეტილება, შეუძლია ყადაღის გამოყენება,ისე რომ არ მოხდეს უზუსტობა , შეშფოთება მხარეთა მიმართ,რომ წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე ედება ყადაღა მოპასუხის ნივთს, ან ქონებას და ამ ქონებიდან ამოღებული თანხის მოთხოვნის მიზნით.[61]

ყადაღის დადების შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება სასამართლოს, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით არის. ანუ , სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, დაედოს თუ არა ყადაღა მხარის ქონებას, სწორედ რომ ასეთი მდგომარეობაა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და არეგულირებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 919-ე მუხლი.[62]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 920-ე მუხლის მიხედვით, შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს მოთხოვნის დასახელებას, თანხას ან ღირებულებას, აგრეთვე ყადაღის დადების საფუძველს. ყადაღის მოთხოვნა და საფუძველი უნდა იყოს დასაბუთებული,მოთხოვნა შეიძლება ჩაიწეროს რეესტრში სასამართლოსათვის წარდგენილი საქმის წარმოებისათვის.[63]

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გერმანიის სამართალში, პრაქტიკიდნ გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ შუამდგომლობა იყოს დასაბუთეული

---

[60] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი Section 916
Claim to seizure.
[61] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.section 917
[62] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.section919
[63] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.section920

და შეიცავდეს ყველა იმ რეკიზიტებს რაც კანონითაა დამტკიცებული.სასამართლოს შეუძლია, თუ არა ყადაღის დადების მოთხოვნა დასაბუთებული არ იყოს, მიიღოს ესეთი განცხადება? საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით,შესაძლებელია მხარემ დაასაბუთოს მტკიცებულებების საფუძველზე მისი მოთხოვნა, თუმცა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, სასამართლო მიიღებს განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით არ არის დამტკიცებული. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ჰგავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, რომლებშიც წარმოდგენილია, რომ შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს მოთხოვნის დასახელებას, თანხას, ღირებულებასა და ყადაღის დადების საფუძველს. ეჭვი იმისა, რომ შესაძლოა მოპასუხემ გაყიდოს მისი ერთადერთი ნივთი და მოსარჩელე თანხას ვერ ამოიღებს, მოკლებულია სამართლიანობას, რადგან ეს არ ნიშნავს, რომ მოსარჩელეს განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და ყადაღა დაედოს მოპასუხის ერთადერთ ქონებას. ასეთი დასაბუთება საკმარისი არის თუ არა პრაქტიკისთვის, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი? გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ შემთხვევაში იდენტურია, ორივე არეგულირებს იმ პროცესს, რომ დასაბუთებული უნდა იყოს მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნა. მოთხოვნა უნდა იყოს დამტკიცებული ფაქტობრივი გარემოებებით და მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება,იმის შესახებ მიიღებს თუ არა მხარის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 927-ე მუხლის შესაბამისად, თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცვალა, მაშინ ამის გამო ყადაღა გაუქმდება. თუ ყადაღა დაედო ქონებას უსაფრთხოების გამო, მაგ შემთხვევაშიც გაუქმდება ყადაღა, თუ აღმოჩნდა რომ შეიცვალა გარემოებები. [64]

გერმანიაში ყადაღის დადების განჩინება გამოაქვს სასამართლოს. თუ გადაწყვეტილება ყადაღის დადების შესახებ საზღვარგარეთ უნდა იყოს აღსრულებული გადაწყვეტილება უნდა ჩამოიწეროს იმ მიზეზებზე, რომლებზე

[64] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. Section927

დაყრდნობითაც იყო დაფუძნებული.თუ მხარე მოიპოვებს ყადაღის დადების განკარგულებას, მაშინ ეს უნდა შეასრულოს მან. სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შედეგად, როცა მხარე ითხოვს ყადაღის დადებას, არ ეცნობება მოწინააღმდეგე მხარეს.[65]

რაც შეეხება, იძულებით აღსრულების წესებს გერმანიაში ხდება, როცა გარკვეული დრო ამოიწურა, არ დაედო ყადაღა ქონებას, გარკვეული დროა 1 თვე, თუ 1 თვე გავიდა და არ აღსრულდა ყადაღის დადება, ამ შემთხვევაში აღსრულება შეიძლება დაიშვას მოვალესთან ყადაღის დადების შესახებ, ამასთან ეს ძალაში იქნება იმ შემთხვევაში თუ ყადაღის დადების დოკუმენტი არ იქნება შესრულებული აღსრულებიდან 1 კვირაში. აღსრულებაზე პასუხისმგებელ სასამართლოს შეუძლია მიმართოს აუქციონს ფიზიკური პირის ქონების გაყიდვის შესახებ, მაშინ როცა განცხადებას გააკეთებენ ამის შესახებ. აუქციონი ჩატარდება იმ შემთხვევაში, თუ ქონების შენახვა გამოიწვევს არაგონივრულ ხარჯებს და მნიშვნელოვანი დანაკლილის რისკს.[66]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე არეგულირებს უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის უფლებას. მხარეს შეუძლია ჩამოართვას უძრავი ქონების მიწის ნაკვეთი მოწინააღმდეგე მხარეს, ამ ღონისძიების გატარებით ხდება შეკავება იმ უფლებისა, რომელსაც იყენებს ერთ- ერთი მხარე. მნიშვნელოვანია ასევე ყადაღის დადების განცალკევება, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობაში გავქვს , საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მას გამიჯვნა ჰქვია. ასე, რომ გერმანია და სამოქალაქო დაახლოებით იდენტურია ერთმანეთისა. ყადაღა გაუქმდება იმ შემთხვევაში, როცა ამოღება თანხის განხორციელდება. შესაძლებელია, ყადაღის დადების განჩინების გასაჩივრება, როგორც საქართველოში. საჩივარს შეიძლება დაედოს ვადა, ყადაღის დადების აღსრულების გაუქმების შესახებ ბრძანების შესაბამისად.

რაც შეეხება, ზიანის ანაზღაურებას გერმანიაში სავალდებულოა და მნიშვნელოვანია, რადგან, თუ ყადაღის ბრძანება დადასტურდა, რომ თავიდანვე იყო უსაფუძვლო ან უნდა გაუქმებულიყო, ამ შემთხვევაში მხარემ, რომელმაც მიიღო

[65] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.section 922
[66] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლები 928,929,930

ბრძანება ვალდებულია მოწინააღმდეგე მხარეს აუნაზღაუროს ზიანი. ასევე, მოპასუხეს შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან მიიღოს ზომების გაუქმება. ეს მსგავსია იმ ქმედებისა, რომელსაც საქართველოში მოპასუხეები იყენებენ, რომელსაც ჰქვია, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება. ამ უფლების გამოყენება შეუძლია მოპასუხე მხარეს, რომ შესაძლოა მას მიადგეს ზიანი და მოპასუხის გარანტიაა იმისა, რომ თუ ზიანი მიადგება მას, მაშინ აუნაზღაუროს მოსარჩელემ.

ასე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომელიც მნიშვნელოვნად ჰგავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს. ყადაღის დადების მოთხოვნა მეტად ხშირი და გამოყენებადი პროცედურაა გერმანიის სამართალში.

§4.2 სარჩელის უზრუნველყოფა ამერიკაში

ამერიკის შეერთებულ შტატების ფედერალურ სასამართლოებში არსებობს ფართო შეხედულებები, რომლებიც დაკავშირებული არიან სამართლიანი სისტემისა და სწრაფი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისკენ.

ამერიკაში არსებობს ორი სახე შესაბამისი აკრძალვებისა, როგორებიცაა: პირველი დროებითი შემაკავებელი ორდერები და მეორე წინასწარი შეზღუდვები. დროებითი შემაკავებელი ორდერები დაცულია საგანგებო სიტუაციებისთვის და მისი გაცემა შესაძლებელია ექსკლუზიური ფორმით, როგორც რამდენიმე საათში, თუმცა იწურება დადგენილი დროით, რომელიც შეადგენს 14 დღეს. რაც შეეხება, წინასწარ შეზღუდვებს განსხვავდება დროებითისგან, რადგან ეს შეზღუდვები რჩება საქმის წარმოების ხანგრძლივობის განმავლობაში და საჭიროებს მოსმენას მოწინააღმდეგე მხარესთან.[67]

წინასწარი და დროებითი შეზღუდვები არის სასამართლო დავალებები, რომლებიც შეტანილი უნდა იყოს სასამართლოს განხილვამდე. ამ დროს მოსარჩელის უფლებები მნიშვნელოვანია და დაცული იქნება მოსალოდნელი გამოუსწორებელი დაზიანებისაგან. ამერიკის კანონმდებლობა ყურადღებას აქცევს მოსარჩელის ინტერესებს და იმას, თუ რამდენად შესაძლებელია კანონმა დაიცვას მხარის უფლება, რომ არ მიადგეს ზიანი, რომლის გამოსწორებაც შემდგომში შეუძლებელი იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ უნდა გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ კავშირშია საქმესთან და ეს საშუალებები იქნება მოქნილი, რომ ზიანი გამოსწორებადი გახდეს, მისი მოთხოვნის შემდგომ. მაგალითად, მოსარჩელეს

[67] Securing and enforcing judgments, chapter 15

შეუძლია მოითხოვოს ქცევის გარკვეული სტანდარტების დაცვა, გარკვეული აქტების შეუსრულებლობა და ა.შ .[68]

დროებითი შეზღუდვის მოთხოვნა არის გადაუდებელი დახმარება, ამ დროს აუცილებელია დაუყონებლივ დახმარება გაუწიოს სასამართლომ იმ პირს, რომელიც მოითხოვს დროებით შეზღუდვას. დროებითი შეზღუდვის მოთხოვნისას, პირმა უნდა დაწეროს, თუ რატომ სურს ამ შეზღუდვის გამოყენება. ამ დროს შესაძლებელია მოსარჩელისა და მოპასუხის წინასწარ შეხვედრა, რომელიც პრაქტიკიდან გამომდინარეობდეს და პრაქტიკული აუცილებლობით იყოს გამოწვეული.

წინასწარი დავალების მოსმენა შეუძლია სასამართლოს. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, გამოიყენოს თუ არა დროებითი ან წინასწარი შეზღუდვები. თუ მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც გაჯერებულია სადავო ფაქტებით, მაშინ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას განკარგულების გადაცემაზე მოსარჩელის მოთხოვნის თანახმად.[69]

ასე, რომ განმცხადებელმა უნდა აჩვენოს თუ შეზღუდვა არ აღსრულდება, მაშინ მას მიადგება გამოუსწორებელი ზიანი. ეს უნდა დაასაბუთოს განმცხადებელმა, რათა დაარწმუნოს სასამართლო.

როცა მოსარჩელეს აქვს სათანადო ანაზღაურება ამ დრო არ ხდება წინასწარი და დროებითი შეზღუდვების დაწესება. მაგალითად, პირები, რომლებიც სპეკულაციურად ყიდდნენ ბეისბოლის თამაშის ბილეთებს, ამას მოჰქონდა დიდი მოგება,როცა აღმოჩნდა რომ თამაში გაიყიდა, მათ სცადენ წინასწარი შეზღუდვა, რომ ბეისბოლის კლუბი შეეზღუდათ ბილეთების მყიდველებზე მიღებაზე უარის თქმისა. სასამართლომ უარი თქვა ამ შეზღუდვის მიღებაზე, რადგან სპეკულანტებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ ქმედება ნებისმიერი ბილეთის ფასის შესახებ, რის გამოც ბეისბოლის კლუბმა უარი თქვა პატივისცემაზე და შესაბამისად არ დაზიანდებოდა.[70]

აქედან გამომდინარე, სასამართლომ უარი თქვა შეზღუდვის დაწესებაზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს ჰქონდა გარკვეული სახსრები, ის არ დაზიანებულა

[68] Securing and enforcing judgments, chapter 15
[69] Securing and enforcing judgments, chapter 15
[70]Levine v. Brooklyn Nat.league Basebali Club, 179 Misc. 22,36 N.Y.S.2d 474(1942)

სათანადოდ და გამოუსწორებელი ზიანი არ მიდგომია მას. ასე, რომ არ იყო მოსარჩელის მხრიდან დასაბუთება დამაკმაყოფილებელი, ამიტომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. მოსარჩელის მოთხოვნა უნდა იყოს რეალური, არ უნდა იყოს მიმართული მოწინააღმდეგე მხარისათვის ზიანის მისაყენებლად, ან უსაფუძვლოდ ისეთი პირობის გამოყენებისკენ, რომელიც სხვას დააზიანებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თუ მოსარჩელეს აქვს გარკვეული თანხა, რომლის მეშვეობითაც, შეუძლია თავისი პრობლემის გადაჭრა, ან მას არ ადგება ზიანი მოპასუხის მხრიდან, მას არ აქვს იმის უფლება, რომ გამოიყენოს წისასწარი ან დროებითი შეზღუდვები.

წინასწარი და დროებითი შეზღუდვები მიიღება არსებითად სრული გადაწყვეტილების მიღებამდე. ამას არეგულირებს ამერიკის კანონმდებლობა.სწორედ რომ ასეთი მიდგომა ამ შეზღუდვების გამოყენებაზე მნიშვნელოვანი და სწორია, რადგან წინასწარ ხდება იმ უფლების შეზღუდვა, რომელიც ბოროტად შეიძლება გამოიყენოს მხარემ, ან ამ უფლების შეუზღუდაობისას მოხდეს ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც მოსარჩელე მხარისთვის არ იყოს მისაღები და მეტიც ზიანი მიადგეს მას.

მოსარჩელეს აქვს გარკვეული უფლებები, როგორიცაა მაგალითად მოითხოვოს დროებითი მიმღების დანიშვნა. დროებითი მიმღბის დანიშვნას ითხოვს მოსარჩელე, მაგრამ მას ნიშნავს სასამართლო.[71] სასამართლოს მიერ დანიშნული დროებითი მიმღები არის პირი, რომელიც მართავს მოპასუხის სადავო საკითხებს. მოსარჩელე არის პირი, რომელსაც აქვს გარკვეული ინტერესები მოპასუხის ქონებაზე. ასე, რომ მოსარჩელეს მიერ მოთხოვნილი დროებითი მიმღები დანიშვნა არის გარანტია იმისა, რომ მოპასუხის ქონება გაკონტროლდება მოსარჩელის უფლების დაცვის შესაბამისად.

ასე, რომ პრაქტიკაში მოპასუხის ქონებას იღებს დროებითი მიმღები. სწორედ, რომ ეს ქონება არის მოპასუხის მიერ გადახდისუნარიანობა, ანუ ამ ქონების საფუძველზე შეუძლია გადაუხადოს მოსარჩელეს ვალი. ამიტომ ეს ქონება გარანტია არის იმისა, რომ მოსარჩელე დაიკმაყოფილებს მის მოთხოვნას.

[71] Securing and enforcing judgments, chapter 15

დროებითი მიმღები უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რადგან მან არ უნდა აირჩიოს რომელიმე მხარე და არ უნდა განასხვავოს მათი უფლებები. მიმღბი არის სასამართლოს ოფიცერი, რომელიც ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. სასამართლოს ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს მიმღების ქმედებები. ასე, რომ თუ მიმღები არ შეასრულებს სასამართლოს მიერ დადგენილ ვალდებულებებს, მაშინ არ შეიძლება მისი დანიშვნა იმ საქმეზე, რომელიც შესაძლოა მიკერძოებულად ჩაითვალოს. მიმღებმა უნდა დადოს ფიცი, რომ ერთგულად ემსახურება სასამართლოს, არ მოიტყუებს და არ იქნება მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ. ასე, რომ ამ პირობების დაცვით შესაძლებელია უკვე სასამართლოს მიერ მიცემული დავალებების შესრულება მიმღების მხრიდან, რომ ადგილი არ ჰქონდეს რაიმეს დარღვევას. მიმღებს უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ და მაღალი ხარისხით უნდა უზრუნველყოს მისი მოქმედება ვალდებულების შესრულებისას.

მიმღები არის სასამართლოს ოფიცერი და მის მიერ ვალდებულები შეუსრულებლობა ნიშნავს, რომ ის ,,თაღლითია" სასამართლოსთვის.[72]მიმღები ვალდებულია აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც ეხება რეპუტაციას ან მთლიანობას და ამის არყოფნა ან უგულებელყოფა ითვლება გაყალბებად. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვა, რომ თუ მიმღები პირნათლად არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს დაეკისრება პასუხისმგებლობები.

ასე, რომ ამერიკის კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია წინასწარ დაიცვას ის ზომები, რომლების გამოყენებაც უნდა და შესაძლოა რაიმემ ხელი შეუშალოს . ამის გამო მას აქვს უფლება მოპასუხის ქონება განკარგოს იმ მიზნით, რომ მას შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს. ამიტომ მან განცხადებაში უნდა დაასაბუთოს თუ რამდენად აუცილებელია ამ ღონისძიებების გატარება და რამდენად მნიშვნელოვანია პრაქტიკულად ამ მოთხოვნის არსებობა. ხომ არ მიადგება ზიანი მეორე მხარეს? თუ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებისას შესაძლოა მას მიადგეს ზიანი? სწორედ, რომ ამის განსაზღვრა აუცილებელია სწორად რადგან, მხარეებს შორის

[72] Securing and enforcing judgments, chapter 15

მოხდეს უფლებათა ბალანსი, სამართლიანი მართლმსაჯულება და არა დროში გაჭიანურებული პროცესებში ჩაბმა.

როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს მოსარჩელის მხრიდან უფლების მოთხოვნის შესაძლებობას იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ემყარება კანონიერებას და სამართლიანობას , ისე არის რეგულირებული ამერიკის კანონმდებლობაშიც ეს საკითხი.

§ 4.3 საქართველოს, გერმანიისა და ამერიკის სარჩელის უზრუნველყოფის ანალიზი.

ზემოთ უკვე განხილულია სამივე ქვეყანაში თუ რა პრინციპების საფუძველზე ხდება სარჩელის უზრუნველყოფის გამცხადების წარმოება. შესაძლოა ითქვას, რომ სარჩელის უზრუნველყოფა არა მარტო საქართველოში, არამედ ფედერაციულ ქვეყნებშიც მეტად მნიშვნელოვანია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის არის მასთან ან სხვა პირთან.[73]

სწორედ, რომ ამ მუხლის შესაბამისობაშია დაახლოებით გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ყადაღის დადებას მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს.

აღსანიშნავია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 920-ე მუხლი, რომლის თანახმადაც პირი, რომელიც ითხოვს ყადაღის დადებას უნდა დაამტკიცოს მისი დადების აუცილებლობა.[74] არის თუ არა საქართველოს სამოქალაქო პროცესის მიხედვით ასე? სწორედ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი შეიცავს მგავს მოსაზრებას. სასამართლოს უნდა წარუდგინოს მოსარჩელემ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე მისი მოთხოვნა. როგორ შეიძლება გავიგოთ თუ რას ნიშნავს დასაბუთებული ვარაუდი ეს მნიშვნელოვანია, რადგან უკვე გერმანიისა და ამერიკის კანონმდებლობის გამოკვლევისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ დასაბუთბული ვარაუდი არის სამივე ქვეყნის შემთხვევაში კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა მტკიცებულებების სახით, რომ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აუცილებლობა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქართულის მსგავს წესს შეიცავს ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც, ოღონდ იქ მოსამართლეები სარჩელის

---

[73] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.საქმის ნომერი-2ბ/4597-14.მოსამართლეები-ქეთევან მესხიშვილი, ნატალია ნაზღაიძე

[74] იქვე

უზრუნველყოფისას ემყარებიან ამ კოდექსის 92-ე მუხლს[75], რომელიც შინაარსით ჰგავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლს[76].

მაგალითად, მოსარჩელემ რომელმაც ასესხა თანხა მოპასუხეს,რომელსაც გააჩნია ერთადერთი ქონება.როგორაა შესაძლებელი დაასაბუთოს მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება? საკამრისია თუ არა, რომ მოსარჩელემ ჩაწეროს განცხადებაში, რომ მოპასუხეს ეკუთვნის ეს ქონება, თუმცა ამის მეტი მას არ აქვს.

ვფიქრობ, რომ გერმანიისა და ამერიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე არ არის მისაღები ასეთი განცადების დაკმაყოფილება, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისადაც. თუმცა ხშირად არსებობს შეცდომები, როცა სასამართლოს გამოეპარება პრაქტიკაში ასეთი განცხადებების სრულყოფილად გათვალისწინება და ზოგჯერ ვაწყდებით ისეთ პრობლემებს, რომლების მოგვარებაც სხვა კუთხითაც შეიძლებოდა.

აღსანიშნავია, პრობლემების მოგვარების სხვა გზები. ხომ არ შეიძლებოდა მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნის ნაცვლად, მოგვეთხოვა გაყიდული ნივთიდან ამოღებული თანხის დაყადაღება. ასეთი ყადაღის სახე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია გაწერილია და საინტერესო იქნებოდა გადმოგვეტანა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო პრაქტიკაში. მეორე მხრივ, შესაძლოა გაგვებათილებინა მოპასუხის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებით დადებული გარიგების საფუძვლის არსებობისას. რა ვარაუდის საფუძველზეე შეიძლება ამ მოქმედებების განხორციელება?ვარაუდი შესაძლოა იყოს ის, რომ მოპასუხე წარმოგვიდგეს ,,თაღლითად", რომელიც განზრახ მოქმედებს, რომ თავი აარიდოს ვალდებულებების შესრულებას. რაც შეეხება ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა ამერიკის კანონმდებლობითაც არის გაჯერებული.

მნიშვნელოვანია ასევე ყურადღება გავამახვილოთ იმ ინსტიტუტზე, რომელიც დროებითი მიმღების დანიშვნის წესებს გულისხმობს. ეს პოზიცია არსებობს

[75] იქვე
[76] იქვე

ამერიკაში, რომელიც მნიშვნელოვანი და პასუხისმგებლობით სავსე თანამდებობაა. მიმღების ხელში განსაკარგავად გადადის მოპასუხის ქონება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას აქვს დაახლოებითი პოზიცია, როცა ქონება გადადის აღმასრულებელი სეკვესტრის ხელში. მოპასუხემ უნდა გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელ სეკვესტრს[77]

რაც შეეხება, ზარალის ანაზღაურებას ფედერალურ სასამართლოებში, მნიშვნელოვანია ის ფაქტი დადგინდეს, რომ განმცახედებლს ადგება თუ არა ისეთი ზიანი რომელიც გამოუსწორებელია. აქედან გამომდინარე, განმცხადებელსა და მოპასუხეს შორის ზიანის მიყენების ბალანსი უნდა დადგინდეს, რადგან ორივე მხარეს ინტერესი თანაბარი უნდა იყოს და ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს სამართლიანად.

თუ მოპასუხეს მიადგა ზიანი არჩელის უზურნველყოფისას, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მას. და პირიქით, თუ მოსარჩელეს მიადგა ზიანი მოპასუხის ქმედებიდან გამომდინარე, მაშინ მოსარჩელეს აქვს უფლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

შესაძლებელია თუ არა მოსარჩელემ მიაყენოს მოპასუხეს მორალური ზიანი, იმ კუთხით , რომ მან ჩათვალოს ,,თაღლითად“ მოპასუხე. თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ მოპასუხე ვალდებულებას შეასრულებს მოსარჩელესთან რაც დაკისრებული აქვს, თუმცა მოსარჩელეს ვარაუდით, რომ ის თავს აარიდებს ვალდებულების შესრულებას, ეს გამიწვევს მორალური ზიანს. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულება შეუძლია მოსთხოვოს კრედიტორმა მოვალეს.[78]თუმცა რაც შეეხება შეუსრულებლობისას კი მხარეს ადგება ზიანი. სწორედ, რომ ეს ზიანი მიმართულია რომელიმე მხარის მიმართ და აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აკისრია პირს, რომელმაც მიაყენა მეორე მხარეს ზარალი. ასე, რომ გერმანიის, სამოქალაქო და ამერიკის ქვეყნების სარჩელის უზრუნველყოფა დაახლოებით იდენტურია ერთმანეთისა და ასევე მნიშვნელოვანია

[77] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენატრი. ავტორები- თენგიზ ლილუაშვილი და ვალერი ხრუსტალი.
[78] სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლი.

მათი პრაქტიკული ანალიზი, რომლებიც მოყვანილია პარალელურად თავების განხილვებთან ერთად.

დასკვნა

სარჩელის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საპროცესო სამართალში. ეს არის აუილებელი იმ კუთხით, რომ მხარე, რომლის უფლებებიც ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს დაცული იყოს მისი ინტერესები. ეს გამოიხატება იმით, რომ მას აქვს უფლება შეაჩეროს თავისი უფლების დარღვევა. მნიშვნელოვანია ასევე არამარტო ერთი მხარის ინტერესები, არამედ მეორე მხარისიც. სწორედ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის პროცესში მხარეების უფლებები და ინტერესები შესაბამისად დაცულია.

ასე, რომ შესაძლოა ითქვას, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი მეტად გამართლებულია სასამართლო პრაქტიკაში. სწორედ,რომ ეს პრაქტიკული და თეორიული მონაცემები გაჯერებულია ნაშრომში და ანალიზდება მათი დაკვირვების შედეგად.

აღსანიშნავია, უცხოური წყაროების გამოყენება, რომლებიც ნათელს ხდის იმას, თუ როგორ გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფა ფედერაციულ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა და გერმანია. სწორედ, რომ ამ ორი ქვეყნის განხილვა სარჩელის უზრუნველყოფის პროცესის მაგალითზე მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებელი, რათა ნათლად დავინახოთ ზოგადად თუ რა არის სარჩელის უზრუნველყოფა, რისთვის იყენებენ მას და რა პროცესში.

საბოლოოდ შესაძლებელია ითქვას, რომ ნაშრომში აღწერილი მასალა და ანალიზი თვალსაჩინოა მკითხველისთვის. ასევე, ყურადსაღებია სასამართლოს როლი სარჩელის უზრუნველყოფისას. სასამართლო ყურადღებით განიხილავს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებას და ისე იღებს მას, თუმცა არის პრქტიკული შემთხვევები თუ რა საფუძვლით იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას და ეს მნიშვნელოვანია, რაგდან ერთმანეთისგან განვასხვავოთ თეორიული და პრაქტიკული მოქმედებები. ამის საფუძველზე ჩვენ მივდივართ იმ ჭეშმარიტ დასკვნამდე, თუ როგორ შეიძლება და რა შემთხვევაში გამოვიყენოთ სარჩელის უზრუნველყოფა. შესაძლებელია დაუსაბუთებული განცხადების საფუძველზე მივიღოთ სარჩელის უზრუნველყოფა? ან შესაძლებელია თუ არა დავუყადაღოთ სუსტი საფუძვლით მოპასუხეს ქონება ან ფულადი სახსრები. ასევე ვის შეიძლება დავუყადაღოთ

ანგარიშები და ვის ქონება? ამ კითხვებზეა გაცემული პასუხები ნაშრომში. არსებობს მათი ანალიზი, მოყვანილია მაგალითები და შედარებულია უცხოურ კანონმდებლობას, როგორიცაა ამერიკა და გერმანია.

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ მხარე, რომელსაც შეაქვს განცხადება და ზარალი მიაყენა ამ განცხადების შეტანით მოპასუხეს უნდა აუნაზღაუროს ზარალი. ზიანის ანაზღაურება ხდება შესაბამისად, რომელი მხარეც მიაყენებს ზიანს მას ეკისრება ტვირთი იმისა, რომ აანაზღაუროს მიყენებული ზარალი. ასე, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ყურადსაღებია სასამართლო პრაქტიკაში, რადგან ის ემსახურება გადაწყვეტილების გამოტანას, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი, კანონიერი და სწრაფი მართლმსაჯულებისთვის შესაბამისი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის პროცესი არის სწრაფი მართლმსაჯულება, რომელიც ექვემდებარება კანონიერებას, და სწრაფ აღსრულებას. ასე, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს სასამართლო არ უნდა იყოს დაბრკოლებული, შეუსრულებელი სამუდამოდ და ამიტომაც ირჩევს მხარე განცხადება შეიტანოს სარჩელის უზრუნველყოფის, რადგან თვიდან აიცილოს დამაბრკოლებელი გარემოებები.

სწორედ, რომ სარჩელის უზრუნველყოფაა ის პროცესი, რომელიც მხარეს აძლევს იმ უფლებას, რომ გადაწყვეტილება სამართლიანად აღსრულდეს და ამავდროულად, სასამართლოს მისცეს იმის საშუალება და დასაბუთებული განცხადება შეიტანოს, რომ მომავალში სასამართლოს ჰქონდეს იმის საფუძველი, რომ არა ეს განცხადება და ეს მოთხოვნა გადაწყვეტილება არ აღსრულდებოდა.

აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფა ამავდროულად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ სტადიაზე მისი უზრუნველყოფის სახე შეიცვალოს. ასე, რომ ესეც მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში, რომ თუ მოსარჩელეს სურვილი აქვს ყადაღა დაადოს მოპასუხის ქონებას და არა ფულად სახსრებს, მაგრამ მან მოითხოვა ფულად სახსრებზე ყადაღის დადება, მას აქვს უფლება შეცვალოს ერთი სახე მეორით. ამ თავისუფლებას კანონმდებელი ანიჭებს მოპასუხეს. ასევე აღსანიშნავია, რომ არა მარტო ერთი მხარე, არამედ მეორე მხარეც არის აღჭურვილი უფლებებით. თუმცა შესაძლოა მოსარჩელემ არ მოითხოვოს ყადაღის დადება მოპასუხის ერთადერთ

ქონებაზე და თუ უკანასკნელი გაყიდის მის ქონებას, მაშინ მას ხომ არ შეუძლია გააბათილოს მოპასუხის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშკრულება? ასევე, ხომ არ შეიძლება მოსარჩელეს მხრიდან არსებობდეს ეჭვი, რომ მოპასუხე ,, თაღლითია" და მას მისი ერთადერთი ქონების გაყიდვა სურს, ეს ხომ შეურაცხყოფაა ერთ-ერთი მხარის და მისი უფლებების კონსტიტუციური დარღვევა.

სწორედ, ამ საკითხებთან დაკავშირებით არის გადმოცემული ნაშრომში საკითხის ანალიზი, პრაქტიკული მაგალითები და ჩემებური ვერსიები, რომლების შესაძლოა დაინერგოს სასამართლო პრაქტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი

საქართველოს არბიტრაჟის შესახებ კანონი

სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სტატიები:

ლილუაშვილი თ, ვ. ხრუსტალი-საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი,მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი-2007წ.

ლილუაშვილი თ -საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეორე გამოცემა .

უზენაესი სასამართლო-სასამართლოსთათან ნამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი) 2013წ.

ქურდაძე შ.-,,საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში ჟურნალი სამართალი 2010 წ.

ცატუროვა ნ.- საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, პირველი სპეციალური გამოშვება, 2012წ

სასამართლო პრაქტიკა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება- N2ბ/6144-15, მოსამართლეები- ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება-N2453275-18. მოსამართლე- გიორგი გოგიჩაშვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება-N2ბ/3012-13. მოსამართლეები- თინათინ ეცადაშვილი,გოდერძი გიორგიშვილი.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება-ას-1188-1117-2011. 29.07.2011

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება-N2ბ/5087-14. მოსამართლეები- ნატალია ნაზღაიძე,ნათია გუჯაბიძე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება- 2ბ/5560-15. მოსამართლეები- ხათუნა არევაძე, ვანო წიკლაური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება- 2ბ/2317-13. მოსამართლეები- ბესარიონ ტაბაღუა, თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება-2ბ/4597-14. მოსამართლეები- ქეთვან მესხიშვილი, ნატალია ნაზღაიძე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება- 2/6/746 შპს,,ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

უცხოური ლიტერატურა:

Peter Westberg, Interim Measures Civil Litigation, Scandinavian studies in law

Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Штанкова Наталия Владимировна

Securing and enforcing judgements. Chapter 15

Levine v. Brooklyn Nat. league. Badeball Club.

ინტერნეტ-მასალა:

www.wikipedia.org
www.library.court.ge
www.matsne.gov.ge